# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 261

17 აგვისტო
"___"_____ 2018 წ.

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, პურის მოედნის №1-ის მიმდებარედ არსებული 11 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.18.03.053.010) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ალიანს.ჯი"-სთვის (ს/ნ: 204560714) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, პურის მოედნის №1-ის მიმდებარედ არსებული 11 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.18.03.053.010) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ალიანს.ჯი"-სთვის (ს/კ 204560714) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 აგვისტოს №18.627.948 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, პურის მოედნის №1-ის მიმდებარედ არსებული 11 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.18.03.053.010) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ალიანს.ჯი"-სთვის (ს/ნ: 204560714) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური 1400 (ათას ოთხასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

**საკრებულოს თავმჯდომარე** **გიორგი ტყემალაძე**